პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 137 (6192)

1978 წ. 15 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ტაშკენტი რჩეულებს უხმობს

**ამ დღეებში** დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა XXX საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც XV საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი იყო. უკვე დაკომპლექტდა ნაკრები კოლექტივები ნორჩ სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 21 სახეობაში.

ჩვენი კორესპონდენტი **ბ. ცირეკიძე** შეხვდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ფარიკაობაში **ვლადიმერ ქოჩიაშვილს** და სთხოვა მოეთხრო რესპუბლიკის მუშკეტერების მზადების შესახებ.

—ცოტა შორიდან დავიწყებ, — გვითხრა ვ. ქოჩიაშვილმა, — ფარიკაობა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაში 1967 წლიდან შედის. მაშინ ჩვენმა გუნდმა IV ადგილი დაიკავა და იქიდან მოყოლებული, მეექვსე ადგილზე დაბალი შედეგი არასოდეს გვქონია. ორი წლის უკან, ლვოვში ჩვენს კოლექტივს მეხუთე შედეგი ჰქონდა, პირად ჩათვლაში კი თბილისელი მოსწავლე გიორგი ჯილაური სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. როგორც ხედავთ, შედეგები ურიგო არა გვაქვს და ახლაც ყოველნაირად ვცდილობთ არ ვუღალატოთ ტრადიციას და საუკეთესო ექვსეულში დავიმკვიდროთ ადგილი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანის გადაჭრა არც ისე ადვილია (ბოლო წლებში ფარიკაობამ დიდი პროგრესი განიცადა მოკავშირე რესპუბლიკებში, ტრადიციულად ძლიერი კოლექტივები გამოჰყავთ მოსკოვს, ლენინგრადს, უკრაინასა და ბელორუსიას), მაგრამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობა და დახმარება, გამოცდილი მწვრთნელების ტ. მესხის, თ. ტროფიმოვას, ჯ. კვანტალიანის, მ. კიკალიშვილისა და სხვათა მონდომება, აგრეთვე, თვით ნაკრების წევრთა მაღალი პასუხისმგებლობა და შემართება გვაფიქრებინებს, რომ ტაშკენტში წარმატებით ვიასპარეზებთ.

სპარტაკიადისთვის მზადება გასული წლიდან დავიწყეთ, შევარჩიეთ საუკეთესო მონაცემების მქონე 40-მდე სპორტსმენი, დავგეგმეთ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სრული ციკლი, ჩავატარეთ შეჯიბრებები, ამხანაგური სამატჩო შეხვედრები და სხვა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებამ, რომელიც 5-16 ივნისს გაიმართა, ცალკეულ სპორტსმენთა მომზადების მაღალ დონესთან ერთად, ხარვეზებიც ბევრი დაგვანახა. ნაკრების შემადგენლობაში ახლა 24 მოფარიკავე იმყოფება. წინა წლებისგან განსხვავებით, რესპუბლიკის პირველ გუნდში თბილისელების, ქუთაისელებისა და რუსთაველების გარდა ჩაირიცხნენ აფხაზეთის, ჭიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს წარმომადგენლები. ვფიქრობთ, წლევანდელი სპარტაკიადის ჩემპიონებს გიორგი გელაშვილსა და პაატა პაიჭაძეს ტაშკენტში წარმატების კარგი შანსები აქვთ. იმედის თვალით ვუყურებთ, აგრეთვე, დათო თურქიას, ქეთევან ერემაშვილს და ნაკრების სხვა წევრებს.

უნდა ითქვას, რომ წვრთნის პირობებს არ ვემდურით, ოღონდ ესაა, საფარიკაო აღჭურვილობისა და იარაღის ხარისხი ძალზე დაბალია. თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება, სამდურავი არაფერი გვექნება და სპარტაკიადამდე დარჩენილ დღეებსაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

## უმასპინძლეს უზბეკ თანატოლებს

**ახლა**, როცა კარზეა მომდგარი მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, ნორჩ სპორტსმენთა ყოველი ასპარეზობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

უზბეკეთისა და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, სწორედ სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

ეს საინტერესო პაექრობა ქართველი გოგონების გამარჯვებით დამთავრდა — 223,75:221,7. ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის საუკეთესო იყო თბილისელი მ. ხალილოვა — 45,85 ქ.

* * *

**სურათებზე:** მ. ხალილოვა; მეტოქე-მეგობრები ქ. კუპავა, ლ. ზაიროვა, ნ. ნადიბაიძე და ო. იაგუბოვა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



**მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წინ**

## მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის

**ამ დღეებში** დიდი გამოცოცხლებაა პლეხანოვის გამზირზე მდებარე ფრენბურთის მოედნებზე. აქ საკმაო ხანია ვარჯიშს შეუდგნენ საქართველოს მოსწავლე ვაჟთა და გოგონათა ნაკრები კოლექტივები.

სულ მალე უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში სტარტს აიღებს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა და ნორჩი სპორტსმენები გაცხოველებულ მზადებაში არიან, რათა თავი არ შეირცხვინონ ამ დიდ ფორუმზე.

როდესაც ფრენბურთელებს ვეწვიეთ, მოედანზე მხოლოდ ჭაბუკები იყვნენ, თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ. იქვე იდგა მათი მწვრთნელი ალექსანდრე მუხინი, ბიჭებს შეცდომებზე მიუთითებდა, თვითოეულს უჩვენებდა, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო მოწოდება, დარტყმა.

— ტაშკენტში ფრენბურთელთა სტარტები 15 სექტემბერს შედგება, — გვითხრა ა. მუხინმა, — ასე, რომ სტარტებამდე ორთოდე თვეღა გვრჩება. ამ დღეებში 18-კაციანი შემადგენლობით სოხუმში გავემგზავრებით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე, იქიდან კი ქუთაისში, სადაც 24-31 ივლისს რამდენიმე შეხვედრას გავმართავთ, შემდეგ ბელორუსიის დედაქალაქს ვეწვევით და მონაწილეობას მივიღებთ საკავშირო ტურნირში, სადაც ჩვენს გარდა იასპარეზებენ ბელორუსიის, ლატვიისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. აგვისტოს ბოლოს კი დაგეგმილი გვაქვს გამოვიდეთ წახკაძორში. სომხეთის ფრენბურთის ფედერაციის ინიციატივით იქ ეწყობა საქართველოს, აზერბაიჯანისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდების ტურნირი.

ამით დამთავრდება ჩვენი წინასასპარტაკიადო მზადება. ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რაც შეიძლება მეტი თამაში ჩავატაროთ ძლიერ მეტოქეებთან, რათა შემადგენლობა ძნელ მატჩებში გამოიწრთოს.

ახლა კი გუნდის შემადგენლობას გადავხედოთ. საიმედოდ თამაშობენ მამუკა მაცაბერიძე (სიმაღლე 194 სმ) და სერგეი დიაჩენკო (196 სმ), რომლებიც საკავშირო ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან. კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფრენბურთში სიმაღლეს, ასე რომ ეს ორი ტანმაღალი ჭაბუკი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს იგორ ნოვიკოვი, რომელსაც გამთამაშებლის მოვალეობა აკისრია. საყურადღებოა, რომ სამივე ზემოჩამოთვლილი მოთამაშე წინა, 1976 წლის ლვოვის სპარტაკიადის მონაწილეა, ასე რომ გამოცდილება არ აკლიათ.

მათ გარდა კარგი თამაშით გამოირჩევიან გენადი ძაგოევი, გელა ძებისაშვილი, ვლადიმერ ზოლოტაროვი და სხვები.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენი ფრენბურთელები ჯერჯერობით ღია ცის ქვეშ ვარჯიშობენ, ეს კი მაინცდამაინც სასურველი არაა, რადგანაც ტაშკენტში დარბაზში მოუწევთ ასპარეზობა.

წინა სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა VI ადგილი დაიკავეს, ახლა მათი მიზანია ფინალში მოხვედრა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდთან ერთად ქვეჯგუფში იასპარეზებენ მოსკოვის, რსფსრ-ის და უზბეკეთის ძლიერი კოლექტივები.

რაც შეეხება ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებს, როგორც შევიტყვეთ, იმ საღამოს გუდაუთაში მიემგზავრებოდნენ შეკრებაზე, ასე რომ მხოლოდ ვაგზალზე მოვახერხეთ მათი ნახვა.

ნაკრების შემადგენლობაში ძირითადად თბილისელები არიან: ია ვარდიშვილი, სტელა ქვაბერიძე, ნინო მღებრიშვილი, დალილა დემჩენკო, სვეტლანა ლეონტიევა, ტატიანა მალიავინა, გუნდის კაპიტანია ალა კაზაკოვა. მწვრთნელი ალექსანდრე იგნატოვი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამ სამ უკანასკნელზე ამყარებს. საინტერესო მოთამაშეა გუდაუთელი ლარისა დაუთია. დასანანია, რომ გუნდს ავადმყოფობის გამო გამოაკლდა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ნადია სტელნიკოვა.

ჩვენი გოგონები ყველაზე უკეთ 1967 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გამოვიდნენ, როცა მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. შემდეგ პოზიციები დათმეს, წინა სპარტაკიადაზეც უხეიროდ იასპარეზეს (IX ადგილი).

— ტაშკენტში ჩვენთან ერთად ქვეჯგუფში გამოვლენ უკრაინის, ლენინგრადის, ბელორუსიის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდები, — გვითხრა ა. იგნატოვმა, ასე რომ რთული ამოცანის გადაჭრა მოგვიწევს, თუმცა, იმედს როდი ვკარგავთ.

ზ. ჩიხლაძე.

## საფეხური ოლიმპიადა-80-ის გზაზე

**ალჟირი.** აფრიკის მესამე სპორტული თამაშების გახსნის წინ გაიმართა აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა დელეგაციამ, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ნოვიკოვის მეთაურობით. აი, კერძოდ რა აღნიშნა ი. ნოვიკოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში:

— მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის სპორტსმენები შედარებით გვიან გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. აფრიკელი სპორტსმენები ბევრი რეკორდის ავტორები და ოლიმპიური „ოქროს" მფლობელები არიან.

ყველაფერი ეს შედეგია იმ ზრუნვისა, რომელსაც აფრიკის თავისუფალი ქვეყნების მთავრობა სპორტის განვითარებისთვის იჩენს. ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომზადებულია ბრწყინვალე ბაზა — უდიდესი ოლიმპიური კომპლექსი, რომლის ბილიკებზე და სპორტულ მოედნებზე იასპარეზებენ მესამე აფრიკული თამაშების მონაწილენი.

გენერალური ასამბლეის ახლანდელი სხდომა ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. მის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა.

სხდომის მონაწილეებმა მესამე აფრიკულ თამაშებში მონაწილეობის უფლება ერთხმად მიანიჭეს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ახლახან მიიღეს დამოუკიდებლობა.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შედის აფრიკული ქვეყნების 36 ეროვნული კომიტეტი. ყველა ამ ქვეყნის სპორტსმენები მოვიწვიეთ მოსკოვში და მზად ვართ სტუმართმოყვრულად მივიღოთ ისინი 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

სხდომის მონაწილეები მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ საბჭოთა დელეგაციის განცხადებას მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში რასისტების არ დაშვების თაობაზე.

როგორც აფრიკის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, II აფრიკული თამაშები მნიშვნელოვანი ეტაპია მოსკოვის ოლიმპიადისთვის აფრიკის ქვეყნების სპორტსმენთა მოსამზადებლად.

**ალჟირი**, 14 ივლისი. ალჟირის დედაქალაქის ოლიმპიურ კომპლექსზე საზეიმოდ გაიხსნა აფრიკის III სპორტული თამაშები. ამ კონტინენტის 45 ქვეყნის 5 ათასამდე ათლეტი და სტუმარი ჩამოვიდა ალჟირის მიწაზე.

საპატიო სტუმართა შორისაა საბჭოთა დელეგაცია.

მესამე აფრიკული თამაშები არა მარტო შეჯიბრებებია, არამედ კონტინენტისთვის დიდი პოლიტიკური მოვლენა. როგორც ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა ანდრ ჯამალ ჩუჩუმ აღნიშნა, აფრიკის თითქმის ყველა ქვეყნის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა ჩამოსვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთიანობისკენ კონტინენტის ხალხთა მისწრაფებას. (საკდესი).

## მიეძღვნა კომკავშირის 60 წლისთავს

●

# ტემპს ნუ შეანელებთ



**საკავშირო** ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზების გათამაშება, მტკიცედ დამკვიდრდა სპორტღონისძიებათა კალენდარში. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდები ამ ტურნირისთვის მუდამ გულმოდგინედ ემზადებიან.

როგორც ცნობილია, შარშანდელ პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც თბილისის ბაზებზე ჩატარდა, მასპინძლები ძალიან კარგად გამოვიდნენ, ისე კარგად, როგორც არასდროს და გუნდური V ადგილი მოიპოვეს. ერთბაშად თერთმეტი საფეხურით წინსვლა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოებების, უწყებების გულმოდგინე შრომის შედეგი იყო.

წლეულს ქვეყნის მორიგი ჩემპიონატი ერევანში ეწყობა. საქართველოს ნაკრების ვალია შარშანდელი პოზიციები შეინარჩუნოს და განამტკიცოს. ეს კიდევ უფრო მეტ გარჯას, საქმისადმი მეტ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. წარმატების შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება, ძლიერს ხომ მუდამ მეტი მეტოქე ჰყავს.

აი, სწორედ ამ მეტოქეებთან საბრძოლველად მზადების ნიშნით, ამ დღეებში თბილისში ჩატარდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა საუწყებო რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა, რომელიც ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ფაქტიურად წლეულს ეს პირველი რესპუბლიკური ტურნირი იყო, სადაც შემოწმდა რა მდგომარეობაა ამ მიმართებით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში, თბილისის საგაზაფხულო პირველობიდან, რომლის შედეგი სახარბიელო როდი იყო, რა დასკვნები გამოიტანეს სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებმა.

წინასწარ ვიტყვით, რომ პრიზიორთა მაჩვენებლები ურიგო არ გამოდგა. საერთო შედეგები ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, შარშან ამგვარ ტურნირში მოპოვებულ მაჩვენებლებს სჯობს. მაგალითად, გასულ წელს III საფეხურის (პირველობაში III, IV და V საფეხურების ნიშნოსნები მონაწილეობდნენ) ნიშნოსანთა შეჯიბრებაში ქალიშვილებს შორის გამარჯვებულმა 18 წლის ლ. სანეაპოვამ („კოლმეურნე") 100 ქულა მოაგროვა. წლეულს ამდენი ქულით 16 წლის დინამოელი ო. ერმოჩენკოვა მხოლოდ III ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო კლავდია გუნბამ („განთიადი"), რომელიც შარშან 87 ქულით III პრიზიორი გახდა, ახლა 101 ქულით II ადგილი მოიპოვა, სანეაპოვამ 115 ქულას მოუყარა თავი. სამივემ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ან ამავე საფეხურზე მოასპარეზე ვაჟები ავიღოთ. შარშანდელ ტურნირში უძლიერესმა მაიაკოვსკელმა ე. გორგოძემ 103 ქულა მოაგროვა. პირველი ადგილი ახლაც მაიაკოვსკელ სპორტსმენს ხვდა წილად, ოღონდ ამჯერად მ. გუმბერიძეს („ბურევესტნიკი", პირადი) — — 117 ქულა. გ. ჯარამნელის („შრომითი რეზერვები") შედეგი 110 ქულა ძველს 8 ქულით აღემატება, მაგრამ იგი II ადგილზე დარჩა. გიამ 16 ქულით ჩამოიტოვა თანაგუნდელი გ. ილენინი. გუმბერიძემ და ჯარამნელმა პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბეს.

ე. გორგოძე („კოლმეურნე") წლეულს IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის მრავალჭიდელთა ასპარეზობაში ცდიდა ძალას. თუ შარშან ამ საფეხურზე გამარჯვებულ ი. ვოლკოვისა („ბურევესტნიკი", 125 ქულა) და II პრიზიორის — თ. ქათამაძის („განთიადი") შედეგებს შორის სხვაობა 15 ქულა იყო, ახლა ზ. ბეჟაშვილის („სპარტაკი", 125 ქულა) და ე. გორგოძის ნადავლს შორის სხვაობა სულ რაღაც 1 ქულას შეადგენს. ორივემ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადაამეტა.

რა იქნენ ვოლკოვი და ქათამაძე? „ბურევესტნიკს" ამ შეჯიბრებაში გუნდი არ გამოუყვანია, ქათამაძე კი ტურნირისთვის იმდენად ცუდად მომზადებული აღმოჩნდა, რომ 3000 მეტრზე კროსში (11.36,0) ჩათვლა ვერ მიიღო და გუნდს ვერაფერი არგო. არადა, კროსსა და ხელყუმბარის ტყორცნაში ვარჯიშს იგი განსაკუთრებულ ყურადღებას რომ მიაქცევდეს, რესპუბლიკის ჩემპიონატში (27-30 სექტემბერი) საპრიზო ადგილი გარანტირებული ექნება.

გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს, აგრეთვე IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის ქალებმა, ამავე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზეებმა. ამას V საფეხურის ნიშნოსნებზე ვერ ვიტყვით. მეხუთე საფეხურზე ქალთა შორის უძლიერესს ლ. ჯინჯიხაშვილს („სპარტაკი") 88 ქულა მოუგროვდა („შრომითი რეზერვების" წევრს თ. როჟმანოვას გასულ წელს 101 ქულა ჰქონდა), ვაჟთა შორის პირველის დ. გაბუნიას („სპარტაკი") მაჩვენებელი კი მისი თანაგუნდელის ვ. ჩხეიძის შარშანდელ ნადავლს 18 ქულით ჩამორჩება.

— შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა სტარტზე ყველა საზოგადოება სრული გუნდით რომ გამოსულიყო. „კოლმეურნეს" ერთი სპორტსმენი აკლდა, „დინამოს" და „ვოდნიკს" — ხუთ-ხუთი, „შრომითი რეზერვები" თოთხმეტის ნაცვლად ხუთკაციანი გუნდით ჩაება ბრძოლაში და მაინც 2 ოსტატობის კანდიდატისა და 15 პირველი თანრიგის ნორმატივის შედეგი ცუდ მოსავლად არ მიმაჩნია, — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი გ. მძელური.

გუნდური პირველობისთვის ბრძოლა „სპარტაკის", „კოლმეურნისა" და „განთიადის" კოლექტივებს შორის მიმდინარეობდა. ორმა სრული განაცხადები წარმოადგინეს, „კოლმეურნეს" 13 სპორტსმენი ჰყავდა, სამაგიეროდ, მისი გუნდი უფრო კარგად მომზადებული, უფრო მონოლითური აღმოჩნდა. „კოლმეურნის" მხოლოდ ორი სპორტსმენი (ა. რეზნიკოვი და ზ. კაშჩინინი) დაშვრნენ ამაოდ, სხვა 11 მონაწილემ 1018 ქულა მოაგროვა და „კოლმეურნემ" პირველობა მოიპოვა. II ადგილზეა „სპარტაკი", იგი გამარჯვებულს 39 ქულით ჩამორჩა, „განთიადი" — უფრო მეტით.

სპარტაკელებიდან ყველაზე კარგად იასპარეზა ტ. კორობკინამ (გუნდს 117 ქულა შესძინა). მან მხოლოდ ქულა წააგო IV საფეხურის I ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებულ კლარა გუნბასთან. „განთიადის" გუნდში სწორედ ეს გუნბა გახლდათ ლიდერი.

„სპარტაკს" საბოლოოდ სამი „0" აღმოაჩნდა, „განთიადს" ს. ჟივაიკინსა და ვ. მელიხოვას გამოუცხადებლობისთვის სტარტზევე მიეცა „ნული", ორსაც (მ. ქათამაძეს და გ. ვირაბიანს) „ბედმა" უმტყუნა — ერთს კროსში, მეორეს — სროლაში.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბალია „ვოდნიკის" გუნდის „ბრძოლისუნარიანობა". მისი სამი მონაწილე სტარტზე არ მოვიდა, ოთხმა გუნდს ვერაფერი არგო, მარტო ი. დიანოვმა და გ. გრაცკოვმა კი ერთად 120 ქულას ძლივს მოუყარეს თავი.

ტურნირმა „დინამოსა" და „ლოკომოტივის" გუნდების შედეგების ერთგვარი ზრდა დაადასტურა, მაგრამ ისიც ცხადყო, რომ სპორტსაზოგადოებებს უფრო ნიჭიერი ტალანტების ძიებისთვის, არსებული ძალების სრულყოფისთვის დაუღალავი ბრძოლა მართებთ.

სხვა ტექნიკური შედეგები: **IV საფეხურის I ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** კლარა გუნბა („განთიადი") — 118 ქულა, ტ. კორობკინა („სპარტაკი") — 117, ი. ამოსოვა („კოლმეურნე") — 99. **ვაჟები.** ზ. ბეჟაშვილი („სპარტაკი") — 125, ე. გორგოძე („კოლმეურნე") — 124, თ. ჩიტაძე („დინამო") — 114. **IV საფეხურის II ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** ლ. შუმილინა („კოლმეურნე") — 105, ვ. გუსევა („განთიადი") — 57, თ. მალივანიკი („სპარტაკი") — 51. **ვაჟები.** ვ. ჭარბაძე — 115, ვ. ზაბოლოტნი (ორივე — „დინამო") — 105, ვ. სეხინენკო („განთიადი") — 86. **V საფეხური. ქალები.** ლ. ჯინჯიხაშვილი („სპარტაკი") — 88, ვ. პავლოვა („კოლმეურნე") — 69, ლ. პოლოზენკო („ლოკომოტივი") — 46. **ვაჟები.** დ. გაბუნია („სპარტაკი") — 94, გ. ძოწენიძე („განთიადი") — 93, მ. ქვარაია („კოლმეურნე") — 87.

**ო. გელაშვილი.**

● ● ●





**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები; კროსის დისტანციაზე; ცურვის ფინიშთან.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

# საჭირო საქმე

**ტოგბილია,** სისტემატური ფიზიკური ვარჯიში, ორგანიზმის გამოწრთობა და ჰიგიენური რეჟიმი — ფიზიკური აღზრდის საშუალებანია, რომელთა მეშვეობით ხდება ადამიანის ყოველმხრივი ფიზიკური სრულყოფა. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ ფიზიკური ვარჯიშის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ჩატარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გათვალისწინებულია პირველ რიგში ადამანის ჯანმრთელობა, ფიზიკური განვითარება და ფიზიკური მომზადება (ფიზიკური მუშაობის უნარი).

ფიზიკური ვარჯიშით მეცადინეობა ყოველთვის უნდა იწყებოდეს საექიმო შემოწმებით. ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახალხო კომისარი ნ. სემაშკო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა კავშირში არ არსებობს ფიზიკური კულტურა საექიმო კონტროლის გარეშე".

ამას წინათ თბილისში გამართულ თათბირ-სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკითხს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოეწყოს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა საექიმო შემოწმების (საექიმო კონტროლის) ორგანიზაცია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეცადინეობის დაწყების წინ სპორტული კლუბების პედაგოგ-ორგანიზატორებმა ორგანიზაცია უნდა გაუკეთონ პოლიკლინიკებში, სპორტული ბაზების საექიმო კონტროლის კაბინეტებში და საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერებში მიკრორაიონების მიხედვით კლუბის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერებმა. სპეციალური სემინარები უნდა ჩაატარონ პოლიკლინიკების ექიმებისთვის საექიმო კონტროლის საკითხებზე. ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, აგრეთვე, სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრებმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან არსებულმა სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტებმა (რეაბილიტაციის განყოფილებებმა) და სხვ. რასაკვირველია, ეს მუშაობა აუცილებლად უნდა მოეწყოს მიკრორაიონების ან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა მიერ ფიზკულტურელის თვითკონტროლის საკითხების გაცნობას. თვითკონტროლი საექიმო კონტროლის შემადგენელი ნაწილია და იგი ფიზკულტურელის (სპორტსმენის) მიერ მარტივი საექიმო შემოწმების მეთოდების დაუფლებას და მიღებული მონაცემების შეფასებას გულისხმობს. მოსახლეობაში ამ საქმის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იგი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების ერთ-ერთი საწინდარია.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების რაციონალურად ჩატარების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა მოსახლეობაში ვაწარმოოთ სპეციალური სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

**რ. სვანიშვილი,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტის მედიცინის კათედრის გამგე.**

## ალპინიზმი

# „მცირე მიწის გმირთა" სახელობის

**დუშანბე.** „მცირე მიწის გმირთა" პიკი უწოდეს პამირის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს (5600 მ). უკრაინის მთამსვლელებმა დაიპყრეს ძნელად მისადგომი უსახელო მწვერვალი, სადაც აიტანეს კაფსული, რომელშიც დევს სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი „მცირე მიწა" და აგრეთვე, კიევის ახალგაზრდა მუშების მიმართვა XXI საუკუნის თანატოლებისადმი. (საკდესი).

# იმრავლოს მათმა რიგებმა

**ხელვაჩაურის** რაიონის სტადიონზე ოთხ დღეს გაგრძელდა რესპუბლიკის იუნიორთა პირად-გუნდური ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და თბილისის კოლექტივები ოლიმპიურ ვარჯიშს ასრულებდნენ.

დედაქალაქის 43-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა მ. ლოგინოვმა ერთი თვის უკან თბილისის პირველობაში ქარში მხოლოდ 911 ქულა მოაგროვა. ხელვაჩაურში მონაწილეებს შესანიშნავი ამინდი დაუდგათ და ლოგინოვმაც მ-1 ვარჯიშში 1124 ქულის ჩვენება შესძლო, რითაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს ამ ჭაბუკის შემთხვევითი წარმატება რომ არ იყო, მან ვარჯიშის განმეორებისას დაამტკიცა: თავდაპირველი მაჩვენებელი კიდევ ექვსი ქულით გააუმჯობესა — 1130 ქულა. ლოგინოვმა მ-2 ვარჯიშის ჯამში (2254 ქ) საგრძნობლად გადააჭარბა სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად დადგენილ ნორმატივს. იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მ. ჩხეიძე — 2183. მან მეორე წრეში აჩვენა სპორტის ოსტატის შედეგი (1124 ქულას მოუყარა თავი). ამრიგად, რესპუბლიკის სპორტის ოსტატთა რიგებს ორი ახალი წევრი შეემატა. მესამე ადგილზე გავიდა ბათუმელი სპორტის ოსტატი გ. ბასილაძე — 2174.

ამ ტურნირში კიდევ ოთხმა მონაწილემ აიმაღლა თანრიგი — სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდების მისაღები მოთხოვნები შეასრულეს თბილისის 54-ე პროფტექსასწავლებლის კურსდამთავრებულმა ბ. ბასიაშვილმა, ამ სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტმა ა. ბასიაშვილმა, № 80 პროფტექსასწავლებლის კურსდამთავრებულმა ვ. უდუმიანმა და ბათუმელმა მოსწავლემ ვ. ეფრემოვმა.

ქალიშვილთა შეჯიბრებაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ბათუმელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. ტოცკაიამ, რომელმაც ამ ასპარეზობაზე წლეულს მესამედ გადააჭარბა ოსტატის ნორმას. ჯამში მისი შედეგია 2221 ქულა. სოხუმელმა სპორტის ოსტატმა მ. გვაზავამ ტოცკაიასთან 263 ქულა წააგო და მეორე ადგილი დაიკავა. მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი ოსტატი ი. ჯოხაძე — 1962 ქულა.

გუნდურ ტურნირში ბათუმის ქალთა და თბილისის (პირველი) ვაჟთა ნაკრებმა კოლექტივებმა იმარჯვეს. ბათუმელების ეს წარმატება იმანაც განაპირობა, რომ სპორტის ოსტატმა ლ. ტოპოროვამ, რომელიც იმ დროს კლაიპედაში საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა და 2345 ქულა მოაგროვა, თავის კოლექტივს პარალელური ჩათვლა მისცა.

ქალიშვილებში მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ სოხუმისა და თბილისის (პირველი) გუნდები, ხოლო იუნიორებში — ბათუმისა და თბილისის (მეორე) ნაკრების მშვილდოსნები. საერთო ჩათვლაში ბათუმელებმა იმარჯვეს. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის პირველი და მეორე გუნდები.

**რ. კაცობაშვილი.**

ფეხბურთი

# მეორე წრის კალენდარი

### ივლისი

15. „ქაირათი“ — „ნეფთჩი“
„არარატი“ — „ფახთაქორი“
„დინამო“ კ. — „ზარია“
**„დინამო“ თბ. — „დნეპრი“**
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“
16. ცსკა — „ზენიტი“
20. „ლოკომოტივი“ — ცსკა
22. „ფახთაქორი“ — „ქაირათი“
**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ.**
„ზარია“ — „დინამო“ მ.
„ზენიტი“ — „დინამო“ კ.
„დნეპრი“ — „შახტიორი“
„ნეფთჩი“ — „არარატი“
„სპარტაკი“ — „ტორპედო“
28. ცსკა — „ფახთაქორი“
29. „ტორპედო“ — „ნეფთჩი“
„ჩერნომორეცი“ — „ზარია“
„ზენიტი“ — „არარატი“
„დნეპრი“ — „სპარტაკი“
30. **„დინამო“ თბ. — „დინამო“ მ.**
„შახტიორი“ — „დინამო“ კ.
„ლოკომოტივი“ — „ქაირათი“

### აგვისტო

2. „ფახთაქორი“ — „ტორპედო“
„არარატი“ — ცსკა
3. **„დინამო“ კ. — „დინამო“ თბ.**
„დინამო“ მ. — „დნეპრი“
„ქაირათი“ — „ჩერნომორეცი“
„ზარია“ — „შახტიორი“
„ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“
6. „ტორპედო“ — „არარატი“
7. „ჩერნომორეცი“ — „ფახთაქორი“
**„დინამო“ თბ. — „ქაირათი“**
ცსკა — „დინამო“ მ.
„შახტიორი“ — „სპარტაკი“
„ზენიტი“ — „ნეფთჩი“
„დნეპრი“ — „დინამო“ კ.
8. „ლოკომოტივი“ — „ზარია“
20. **„დინამო“ თბ. — „ფახთაქორი“**
„ტორპედო“ — „დინამო“ კ.
21. „დინამო“ მ. — „შახტიორი“
22. ცსკა — „სპარტაკი“
25. „დინამო“ მ. — „ტორპედო“
26. „ფახთაქორი“ — „ნეფთჩი“
ცსკა — „დინამო“ კ.
„დნეპრი“ — „ქაირათი“
„ჩერნომორეცი“ — „არარატი“
„ზარია“ — „ზენიტი“
**„შახტიორი“ — „დინამო“ თბ.**
27. „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“

### სექტემბერი

1. „ფახთაქორი“ — „შახტიორი“
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ.
„ტორპედო“ — ცსკა
„არარატი“ — „ლოკომოტივი“
**„ნეფთჩი“ — „დინამო“ თბ.**
2. „ქაირათი“ — „ზენიტი“
„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“
„სპარტაკი“ — „ზარია“
10. „ჩერნომორეცი“ — „ნეფთჩი“
„ქაირათი“ — „არარატი“
„ზარია“ — „დნეპრი“
„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“
23. „ფახთაქორი“ — „ზენიტი“
„დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“
„შახტიორი“ — „ნეფთჩი“
„ქაირათი“ — „ტორპედო“
„ზარია“ — ცსკა
„არარატი“ — „დნეპრი“
**„სპარტაკი“ — „დინამო“ თბ.**
24. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ მ.
29. „დინამო“ მ. — „ზენიტი“
30. „დნეპრი“ — „ფახთაქორი“
**„დინამო“ თბ. — „არარატი“**
„ტორპედო“ — „ზარია“
„შახტიორი“ — „ქაირათი“
„ნეფთჩი“ — ცსკა
„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“

### ოქტომბერი

1. „სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“
14. „ლოკომოტივი“ — „ფახთაქორი“
15. „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ.
**„ზარია“ — „დინამო“ თბ.**
„ზენიტი“ — „ტორპედო“
„არარატი“ — „შახტიორი“
„ნეფთჩი“ — „დნეპრი“
„სპარტაკი“ — „დინამო“ კ.
16. ცსკა — „ქაირათი“
21. „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“
22. „ფახთაქორი“ — „დინამო“ მ.
„ქაირათი“ — „ზარია“
„დნეპრი“ — „ზენიტი“
„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“
23. „დინამო“ კ. — „არარატი“
**„დინამო“ თბ. — ცსკა**
„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“
27. „შახტიორი“ — „ტორპედო“
**„ზენიტი“ — „დინამო“ თბ.**
„ნეფთჩი“ — „დინამო“ კ.
28. „ზარია“ — „ფახთაქორი“
„დინამო“ მ. — „ქაირათი“
„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“
„არარატი“ — „სპარტაკი“
29. ცსკა — „დნეპრი“

### ნოემბერი

2. „სპარტაკი“ — „ფახთაქორი“
3. ცსკა — „ჩერნომორეცი“
4. „დინამო“ მ. — „არარატი“
5. „ზარია“ — „ნეფთჩი“
**„ლოკომოტივი“ — „დინამო“ თბ.**
„ზენიტი“ — „შახტიორი“
6. „დინამო“ კ. — „ქაირათი“
„ტორპედო“ — „დნეპრი“
11. „ფახთაქორი“ — „დინამო“ კ.
**„დინამო“ თბ. — „ტორპედო“**
„შახტიორი“ — ცსკა
„ჩერნომორეცი“ — „ზენიტი“
„ქაირათი“ — „სპარტაკი“
„არარატი“ — „ზარია“
„დნეპრი“ — „ლოკომოტივი“
„ნეფთჩი“ — „დინამო“ მ.

## უმაღლესი ლიგა

### „გუნდთან ერთად“

**უმაღლესი** ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ამ ახალი პრიზისთვის ბრძოლაში I წრის შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვთ თბილისელებს, რომლებმაც დააგროვეს 790 ქულა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელმა გულშემატკივრებმა გათამაშების მსვლელობაში ორჯერ დაარღვიეს წესრიგი თავიანთ სტადიონზე. კიევის „დინამოსთან“ და მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩების დროს მაყურებელთა ერთი ნაწილი უწესრიგოდ იქცეოდა, მინდორზე ისროდა ქაღალდებს, შეურაცხყოფას აყენებდა მსაჯებს.

პრიზის დებულებაში შეტანილია დამატება, სადაც ნათქვამია, რომ კოლექტივი (გუნდი — სტადიონი — მაყურებელი), რომელიც სეზონის მანძილზე სამჯერ მიიღებს სასჯელს ზოგიერთი მაყურებლის უპატივცემლო მოპყრობისთვის, ტრიბუნაზე მსხდომი მეზობლების, მსაჯების, საკუთარი ან სტუმრების გუნდის ფეხბურთელთა მიმართ მატჩამდე, მატჩის დროს ან მის შემდეგ, კარგავს უფლებას მიიღოს პრიზი იმ შემთხვევაშიც კი, თუ დააგროვებს ქულათა უმეტეს რაოდენობას. თბილისელებმა ორი ასეთი სასჯელი უკვე მიიღეს, ამიტომ ჩვენმა მაყურებლებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი უპატივცემლოდ მოეპყრობიან ტრიბუნაზე მსხდომ მაყურებლებს, არბიტრებს ან მოთამაშეებს, დაკარგავენ პრიზისთვის ბრძოლის უფლებას.

თითო ასეთი სასჯელი მიღებულია ბაქოელების, ტაშკენტელებისა და ალმაათელების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივრები თავიანთი გუნდის ქომაგობისას ხშირად არღვევენ წესს. ასე იყო, მაგალითად, „სპარტაკის“ შეხვედრისას დონეცკის „შახტიორთან“, რის გამოც სპარტაკელებს ჩამოეწერათ 30 ქულა.

I წრის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია: „დინამო“ (თბილისი) — 790 ქულა 8 მატჩში საკუთარ მინდორზე, „ჩერნომორეცი“ — 610 (7), „ქაირათი“ — 585 (8), „ზენიტი“ — 565 (8), „ფახთაქორი“ — 540 (8), „დინამო“ (კიევი) — 525 (8), „ნეფთჩი“ — 495 (8), „შახტიორი“ — 485 (6), „ტორპედო“ — 480 (7), „სპარტაკი“ — 475 (7), „ზარია“ — 445 (7), „დნეპრი“ — 425 (7), „არარატი“ — 380 (8), „დინამო“ (მოსკოვი) — 315 (8), ცსკა — 250 (7), „ლოკომოტივი“ — 85 (7).



გოლი. ბ. დოლენჯაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

# წილისყრა

ევროპული ტურნირები

**11 ივლისს** ციურიხში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა (პირველი ტურის თამაშები გაიმართება 13 და 27 სექტემბერს).

### ჩემპიონთა თასი

„ვალქეაკოსკენ ჰაკა“ (ვალკეასკოსკი, ფინეთი) — **„დინამო“ (კიევი).**

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „პროგრესი“ (ლუქსემბურგი)

აეკ (საბერძნეთი) — „პორტო“ (პორტუგალია)

„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — პსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)

„ბრიუგე“ (ბელგია) — „ვისლა“ (კრაკოვი, პოლონეთი)

„ვილაზნია“ (შკოდერი, ალბანეთი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია)

„ზბროიოვკა“ (ბრნო, ჩეხოსლოვაკია) — „უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი)

„კიოლნი“ (გფრ) — „აკრანესი“ (ისლანდია)

„იუვენტუსი“ (იტალია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)

„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) — „ლივერპული“ (ინგლისი)

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ლა ვალეტა“ (მალტა)

„მალმიო“ (შვეცია) — საფრანგეთის „მონაკოსა“ და რუმინეთის „სტიაუას“ (ბუქარესტი) შორის გამარჯვებული

„ომონია“ (კვიპროსი) — „ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია)

„ოდენსე“ (დანია) — „ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი)

„ლინფილდი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ლილესტრემი“ (ნორვეგია)

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ)

### თასების თასი

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — **1978 წლის სსრ კავშირის თასის მფლობელი**

„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია)

„ვალიური“ (ისლანდია) — „მაგდებურგი“ (გდრ)

„მარეკი“ (სტანკე-დიმიტროვი, ბულგარეთი) — „აბერდინი“ (შოტლანდია)

უნგრეთის თასის გამარჯვებული — „კალმარი“ (შვეცია)

„ბევერენ-ვაასი“ (ბელგია) — „ბალიმინა“ (ჩრდილოეთ ირლანდია)

პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) — „სერვეტი“ (შვეიცარია)

„უნივერსიტატეა“ (რუმინეთი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ)

„ზაგლემბე“ (პოლონეთი) — „სვაროვსკი-ვაკერი“ (ავსტრია)

„აზ-67“ (ჰოლანდია) — „იფსვიჩი“ (ინგლისი)

„შემროკ როვერსი“ (ირლანდია) — „აპოელი“ (კვიპროსი)

„რიეკა“ (იუგოსლავია) — „რექსჰემი“ (უელსი)

„ფლორიანა“ (მალტა) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია)

„ბოდე გლიმტი“ (ნორვეგია) — „ეში“ (ლუქსემბურგი)

დანიის თასის გამარჯვებული — „ნანსი“ (საფრანგეთი)

### უეფა-ს თასი

**„დინამო“ (თბილისი) — „ნაპოლი“ (იტალია)**

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოლდე“ (ნორვეგია)**

„დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ლანეროსი“ (ვიჩენცა, იტალია)

ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი)

„ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „შტურმი“ (გრაცი, ავსტრია)

„არჯესი“ (პიტეშტი, რუმინეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)

„ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)

„ევერტონი“ (ინგლისი) — „ფინ ხარპსი“ (შოტლანდია)

„ეენესი“ (ეში, ლუქსემბურგი) — „ლოზანა“ (შვეიცარია)

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)

„რეალი“ (ხიხონი, ესპანეთი) — „ტურინი“ (იტალია)

„სპორტინგი“ (ბრაგა, პორტუგალია) — „ჰიბერნიანი“ (მალტა)

„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი)

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)

„1903 კოპენჰაგენი“ (დანია) — „კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი)

„ბაზელი“ (შვეიცარია) — „შტუტგარტი“ (გფრ)

„ელფსბორგი“ (შვეცია) — „რესინგი“ (სტრასბურგი, საფრანგეთი)

„სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია)

„სტარტი“ (ნორვეგია) — დანიის მეორე გუნდი

„არსენალი“ (ინგლისი) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ)

„კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) — „ლიერსი“ (ბელგია)

„გლენტორანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ვესტმანაეიიარი“ (ისლანდია)

„ტვენტე“ (ჰოლანდია) — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი)

„ჰიბერნიანი“ (შოტლანდია) — „ნორჩეპინგი“ (შვეცია)

„პოლიტეხნიკა“ (ტიმიშოარა, რუმინეთი) — უნგრეთის მეორე გუნდი

„პეზოპორიკოსი“ (კვიპროსი) — „შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი)

„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი)

„მილანი“ (იტალია) — „ლოკომოტივი“ (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია)

„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია)

„ჰერტა“ (დასავლეთ ბერლინი) — „თრაკია“ (პლოვდივი, ბულგარეთი)

„დუისბურგი“ (გფრ) — „ლეხი“ (პოზნანი, პოლონეთი)

უნგრეთის პირველი გუნდი — „ადანასპორი“ (თურქეთი)

**შენიშვნა:** ბელგიის „ანდერლეხტი“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ტურში თამაშებისგან თავისუფალია.

## საქართველოს თასი

**იწყება** საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში. 19 ივლისს გაიმართება მერვედფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: „მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ჩიხურა“ (საჩხერე), „ჯანმრთელობა“ (თბილისი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი), „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „ნადიკვარი“ (თელავი), „მეშახტე“ (ტყიბული) — „მექალალდე“ (ზუგდიდი), „მადნეული“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (თბილისი), „კოლხეთი“ (ფოთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

### ჩემპიონები ტოვებენ არგენტინას

**ბუენოს-აირესი.** არგენტინელთა მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებამ გარკვეული დაღი დააჩნია ამ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას. არგენტინის ეროვნული პირველობის მატჩებზე შესასვლელი ბილეთები საშუალოდ გაძვირდა 50 პროცენტით. ამას იმით ხსნიან, რომ ჩემპიონობის მოპოვებამ კიდევ უფრო გააღვივა არგენტინელთა ინტერესი ფეხბურთისადმი.

ამას გარდა, მოსალოდნელია, რომ არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელები ამ ქვეყნის ფარგლებს გარეშე აღმოჩნდებიან. ბევრი კლუბი აპირებს ხელი მოითბოს ამ ბიზნესზე.

გაზეთი „დიარიო პოპულარი“ წერს: „ჩვენ ალბათ მოგვიხდება უჩემპიონებოდ დარჩენა. მოსალოდნელია, რომ კემპესს, რომელიც ესპანეთში უნდა დაბრუნდეს, შეუერთდებიან ბერტონი და ტარანტინი. გარდა ამისა, ემიგრაციის კანდიდატები არიან პასარელა, ლუკე, ფილოლი, ორტისი, ჰაუსმანი და ვილა.

### ბ. კლაფი — საუკეთესო

ინგლისელ ჟურნალისტთა სპეციალური გამოკითხვის შედეგად ამ ქვეყნის № 1 მწვრთნელად აღიარებულ იქნა „ნოტინჰემ ფორესტის“ ხელმძღვანელი ბ. კლაფი. ეს გუნდი მხოლოდ 1977-78 წლების სეზონში დაუბრუნდა პირველ ლიგას და შეძლო ჩემპიონობის მოპოვება.

ეს ბ. კლაფის პირველი წარმატება არ გახლავთ. ამ რამდენიმე წლის წინ მან პირველ ლიგაში დააბრუნა „დერბი ქაუნთი“ და იმავე წელს მოაპოვებინა ჩემპიონობა.

### რივერას მეოცე სეზონი!

„მილანის“ გამოჩენილმა ფეხბურთელმა ჯ. რივერამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გადაწყვიტა ითამაშოს ბოლო საფეხბურთო მეოცე სეზონი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# საფიქრალი, რომელიც... გამარჯვებას მოაქვს

**ფარიკაობა**

**საქართველოს** სპორტკომიტე-ტის სპორტკომბინატის ფარიკაო-ბის დარბაზში 9 დღეს მიმდინა-რეობდა საბჭოთა კავშირის უმა-ღლესი სასწავლებლების მოფა-რიკავეთა ტრადიციული პირად-გუნდური შეჯიბრება.

მას შემდეგ, რაც რაპირითა და ხმლით მოფარიკავე ვაჟებმა გაა-რკვიეს „ურთიერთობა", ასპარეზო-ბაში რაპირისტი ქალები ჩაებნენ. აქ საუკეთესო იყო ომსკელი სტუ-დენტი მ. მოტოენკო, მეორე ადგი-ლი წილად ხვდა ჩვენი რესპუბლი-კის წარმომადგენელს ი. ჯანაშიას (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხო-ლო მესამე — ს. გრიგორიანცს (ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტ-უტი).

ბოლოს ჩატარდა დაშნით მოფა-რიკავეთა ორთაბრძოლები. წარმა-ტებით იასპარეზა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუ-დენტმა, სპორტის ოსტატმა დ. და-ვითაშვილმა და ტურნირში გამა-რჯვებულის სახელი მოიპოვა, მე-ორე ადგილი ასევე ქართველმა მოფარიკავემ მ. ბერიძემ დაისაკუ-თრა (სპი), მესამე იყო მინსკელი ვ. სუშენკო.

როცა გუნდური შედეგები შეჯამ-და, აღმოჩნდა, რომ ჰუმანიტარულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შორის ყველაზე მეტი ქულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წა-რმომადგენლებმა მოაგროვეს, ფი-ზკულტურის ინსტიტუტების სპო-რტკლუბებს შორის კი ასევე საუ-კეთესო იყო საქართველოს ფიზ-კულტურის ინსტიტუტის ნაკრები.

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუ-ბლიკის სტუდენტი მოფარიკავეე-ბი ურიგოდ არ გამოიყურებიან ამ საკავშირო ტურნირის ფონზე, მი-თუმეტეს, იმას ვერ ვიტყვით, რომ წარმატებაში მათ საკუთარი კედ-ლები დაეხმარათ, რადგან ამ ტრა-დიციულ შეჯიბრებაში საქართვე-ლოს ბურევესტნიკელები, როგ-ორც წესი, ყოველთვის ალმავლობ-ით ასპარეზობენ და თავიანთ თანა-ტოლებს ტოლს არ უდებენ. თუმ-ცა, სურათი უფრო ნათელი რომ გახდეს, მედლის მეორე მხარესაც უნდა შევხედოთ. საქმე ისაა, რომ აღნიშნული შეჯიბრების დებულებ-ით ასპარეზობაში მხოლოდ სპო-რტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრები მონაწილეობენ და თუ ჩვენს რესპუბლიკაში მუშკეტერ-თა სამჭედლოდ სწორედ ეს საზ-ოგადოება ითვლება, მოსკოვში, ლენინგრადსა და მოკავშირე რეს-პუბლიკებში სულ სხვაგვარადაა საქმე — იქ მოწინავე პოზიციები დინამოელებს, სპარტაკელებს ან რომელიმე სხვა სპორტსაზოგადოე-ბის წარმომადგენლებს უჭირავთ.

ამას რომ ვამბობთ, ჩრდილს რო-დი ვაყენებთ ჩვენი სტუდენტ-მუ-შკეტერების წარმატებას. უბრალ-ოდ, სიცხადე შეგვაქვს დღეს არსე-ბულ მდგომარეობაში: როგორც ჩანს, ჩვენი უშუალო კონკურენ-ტების მომზადების დონე ბევრად მაღალია, რადგანაც ქართველი მო-[illegible] ისევ და ისევ „ბურევესტნიკის" აღზრდილ-ები არიან, საკავშირო პირად-გუნ-დურ და საუწყებო ჩემპიონატებ-ში ბოლო წლებში ვერაფრით გვა-ხარებენ. ჩვენ არ გვავიწყდება გია აბაშიძის წარმატება ახლახან დამ-თავრებულ საბჭოთა კავშირის ჩემ-პიონატში, მაგრამ ერთი მერცხალი ხომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ვერც ერთი სპორტსაზოგადოება და თითო-ოროლა ენთუზიასტი გა-წვდება იმ დიდსა და საერთო საქმეს, ქართული ფარიკაობის შემდგომი განვითარება და წინსვლა რომ ჰქვია.

**ე. ბერიძვილი.**

# ანატოლი აკიმოვი: „დინამო" ღირსეული ლიდერია

**ფეხბურთი**

დღეს უმაღლესი ლიგის ფეხ-ბურთელთა გუნდების მეორე წრის მატჩებით საკავშირო ჩემპი-ონატში დაიწყება უფრო საინტერე-სო და საპასუხისმგებლო პერიოდი.

რედაქციამ გაითვალისწინა ფეხ-ბურთის მოყვარულთა დიდი ინ-ტერესი არა მარტო თბილისის დი-ნამოელთა, არამედ მათი მეტოქეთა მიმართ და შემოიღო ახალი რუბ-რიკა — „ტურის სტუმარი", რო-მელშიც მკითხველებს გააცნობს თბილისში გამართულ მატჩზე ჩა-მოსულ ყველაზე უფრო საინტერე-სო ადამიანებს.

ჩვენი პირველი სტუმარია 30-40-იანი წლების ცნობილი მე-კარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ანატოლი აკიმოვი**, რომე-ლიც თბილისის „დინამოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" შე-ხვედრაში მატჩის კომისრის მოვა-ლეობას ასრულებდა.

**დინამოელთა** გასახდელში ჩვე-ული, მატჩისწინა ფაციფუცი იყო — ერთს მასაჟს უკეთებდნენ, ვი-ღაცა ტანვარჯიშულ ილეთებს აკე-თებდა, ზოგი ბურთით ჟონგლიო-რობდა.

ოთახში შემოსულმა მაღალმა, თეთრთმიანმა მამაკაცმა წუთიერი ყურადღება ითხოვა:

— მე მატჩის კომისარი აკიმოვი გახლავართ. გთხოვთ ითამაშოთ კორექტულად.

— რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი მეტოქეები? — ხუმრობით ჰკითხა ნოდარ ახალკაცმა.

— მათ ყველაფერი წესრიგში ექნებათ.

— მაშასადამე, ჩვენ მხრივაც ასე იქნება, — დაუმოწმა კომისარს დი-ნამოელთა მწვრთნელმა.

როცა დასავლეთის ტრიბუნების ქვემოთ მდებარე გასასვლელისკენ გავემართეთ, აკიმოვმა თქვა:

— ბევრი მსმენია თქვენი სტა-დიონის შესახებ და დილით სპეცი-ალურად ადრე მოვედი მის დასა-თვალიერებლად. ეს ნამდვილი სარ-ბიელია. იცით, სპორტსმენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რო-გორ სტადიონზე თამაშობს.

— პირველად როდის ითამაშეთ თბილისში?

— 1937 წელს. ისიც მახსოვს პირველად რომელ კარში ვიდექი. აი, იქით, ჩრდილოეთით. ერთ-ერთ მომენტში სწრაფმა გავაშელმა და-აბნია ჩვენი მცველი პლოცკი, და ამ უკანასკნელმა ავტოგოლი გაი-ტანა.

— შესაძლებელი რომ იყოს დროის შემობრუნება, ან ახალგა-ზრდობის დაბრუნება, რომელ კლუბში ირჩევდით თამაშს?

— მხოლოდ მოსკოვის „სპარ-ტაკში". მუდამ ვიყავი და დავრჩე-ბი მისი თაყვანისმცემელი, მაში-ნაც კი, როცა ვთამაშობდი მოსკო-ვის „ტორპედოში", სადაც იძულე-ბით მომიხდა გადასვლა. ახალ-გაზრდებისთვის უნდა დამეთმო ად-გილი. ლეონტიევი ნამდვილად იყო ღირსი ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობისა.

— 25 წელი ფეხბურთის მინდვ-რის მიღმა... დრო ძალზე სწრაფ-მავალია...

## ტურის სტუმარი

—როცა თავად თამაშობ, სწრაფ-მავალია, ხოლო როცა წახვალ დი-დი ფეხბურთიდან — მტანჯველი. 1953 წლის შემდეგ პირველ 6-7 წელს სიზმრები მაწუხებდა. ხან ფეხებში ვუვარდებოდი ფორვარ-დებს, ვასრულებდი აკრობატულ ნახტომებს. ამჟამად კი, ტრიბუნა-ზე მჯდომი მაგრად ვკუმშავ მუშ-ტებს.

— რას გვეტყვით დღევანდელ გოლკიპერებზე?

— განსაკუთრებულს ვერაფერს. ძალზე თანაბარი დონეა, სადაც დროდადრო ერთი რომელიმე მე-კარე თამაშობს სხვაზე უკეთ. გაი-ხსენეთ 50-იანი წლების ბოლო და 60-იანი წლების დასაწყისი. ეს იყო პირდაპირ მეკარეთა ვარსკვლავთ-ცვენა — მარტო თქვენი თანამემა-მულენი, სამი ბრწყინვალე ვარსკვ-ლავი — კოტრიკაძე, კავაზაშვილი, ურუშაძე. ამ დროს რაზინსკი, მას-ლაჩენკო, ლისიცინი, პშენიჩნიკო-ვი? და თვით ლევ იაშინი! ხოლო რაც შეეხება ახალ თაობას, მათ, პირველ რიგში, არ ყოფნით „სტა-ბილურობა". ამაში, დარწმუნებუ-ლი ვარ, დამეთანხმებიან გონტა-რიც, დეგტიარიოვიც, პილგუიცა და გოგიაც.

— როგორ შეაფასებთ არგენტი-ნის ჩემპიონატის მონაწილე თქვენს უმცროს კოლეგებს?

— პირველ რიგში, ძალიან გამა-ოცეს სპეციალისტებმა, რომლებ-მაც მსოფლიო ჩემპიონის ფილო-ლის თამაში იაშინისას შეადარეს (როგორც ეს გამოაქვეყნა საზ-ღვარგარეთის პრესამ). ფილოლი ბრწყინვალე მეკარეა, მაგრამ მისი თამაში მკვეთრად განსხვავდება იაშინის თამაშისაგან. მაიერმა და ძოფმა კი ბევრი რამ გადაიღეს არა მხოლოდ იაშინისგან, არამედ სა-ერთოდ საბჭოთა მეკარეთა სკო-ლიდან. უკვე მერამდენედ გაუც-რუა გუნდს იმედები უნგრეთის მეკარემ. გაუგებარია, გრომიჩის შემდეგ ნუთუ ვერ მოძებნეს კა-რის საიმედო დარაჯი? აღმაფრთო-ვანა ტუნისელთა მეკარემ, ხოლო პირველობას ბრაზილიელ ლეაოს ვანიჭებ. იგი გონივრულად თამა-შობდა, ეს კი მეკარის ხელოვნე-ბის მწვერვალია.

— დასასრულ რამდენიმე სიტ-ყვა გვითხარით თბილისის დინა-მოელებზე და მათს თამაშზე.

— ასეთ ლიდერზე საუბარი ად-ვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმ-დენად, რამდენადაც თბილისის „დინამო" ღირსეული ლიდერია, დამსახურებულად უდგას სათავეში სატურნირო ცხრილს. რატომ არის ძნელი? მეკარეები ცრუმორწმუნე ხალხი ვართ. და აი, მეშინია არ გავთვალო. გუნდი ძალიან მომ-წონს, განსაკუთრებით ტექნიკური და ჭკვიანი ყიფიანი და სწრაფი გუცაევი, რომლის თამაშის ყურე-ბა აუცილებლად გაგახსენებს იმ დიდ ქართველ ფეხბურთის რო-მანტიკოსებს, რომლებიც ცხოვ-რობდნენ და თამაშობდნენ ლამაზი ფეხბურთისთვის. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, მასში თვალ-ნათლივ დავინახე გუნდის მწვრთ-ნელთა კარგი ტაქტიკური ჩანაფიქ-რი. დინამოელებმა მთელი შესაძ-ლებლობა გამოავლინეს პირველ ტაიმში. შემდეგ კი მშვიდად მიი-ყვანეს მატჩი გამარჯვებამდე. ასეთ დახუთულ ამინდში სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ასე რომ მიპა-ტიეთ მათთვის რამდენიმე მიფუ-ჩეჩებული ფინალი.

თამაშის შემდეგ გასახდელში უფრო მშვიდი ატმოსფერო სუ-ფევდა. გაოფლიანებული დინამო-ელები რიგრიგობით, აუჩქარებ-ლად დგებოდნენ სასწორზე და ნოდარ ახალკაცი პირველდაწყები-თი წონის გასწვრივ ინიშნავდა მატჩისშემდგომ წონას. სხვაობა სამი, ოთხი, ხუთი (!) კილოგრამი იყო. აკიმოვმა, რომელიც ყურად-ღებით ადევნებდა თვალს ბიჭებს, თავი გააქნია და ჩუმად ჩაილაპარა-კა:

— აქ სიცხე არაფერ შუაშია, ეს ბრძოლის, ნამდვილი მამაცური ბრძოლის შედეგია.

**თ. სულხანიშვილი.**

## ცნობები ვილნიუსიდან

**ვილნიუსი, 14 ივლისი** (დეპე-შით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ ხელოვნების მუშაკთა სახლში და-იწყო სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონა-წილეობს, მათ შორის დიდოსტატი ქალი მ. ჩიბურდანიძე.

I ტურში ჩიბურდანიძის მეტო-ქემ, საერთაშორისო დიდოსტატმა ლ. ესპიგმა (გდრ) უფიმცევის და-ცვა აირჩია და ცენტრში ქვეშ მო-ჰყვა, მაგრამ შეუპოვარი თამაშით შეძლო მუქარის უვნებელყოფა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ლიტვის ჩემპიონმა გ. პეშინამ მოუგო ამერიკელ დიდოსტატ ს. რეშევსკის. ვ. ტუკმაკოვმა სძლია ა. ბელიავსკის.

კ. კაიშაური (შვეცია) — მ. და-მიანოვიჩის (იუგოსლავია) შეხვე-დრაში სიცილიურ დაცვას მწვავე პოზიცია მოჰყვა. კაიშაურმა იერი-ში წამოიწყო და პაიკი მოიგო. და-მიანოვიჩმა უკვე უიმედო პოზი-ციაში, 35-ე სვლაზე დროს გადაა-ცილა და მას წაგება ჩაეთვალა.

დაზავდნენ ი. ლეხტინსკი (ჩეხო-სლოვაკია) — გ. ლებრედო (კუბა), ტ. პეტროსიანი — მ. დვორეცკი და ი. დორფმანი — ი. ჩომი. სა-ყაიმო პოზიციაში გადაიდო ბ. გუ-ლკო — ვ. მიკენასის შეხვედრა.

II ტურში ჩიბურდანიძე შეხვდა საერთაშორისო ოსტატ ლეხტინ-სკის (ჩეხოსლოვაკია). ხუთსაათია-ნი თამაშის შემდეგ პარტია გადა-იდო. მაიას ხარისხი აკლია. უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია კაი-შაურმა მ. დვორეცკისთან.

სსრ კავშირის ჩემპიონმა გუ-ლკომ მოუგო ლებრედოს, მეორე ჩე-მპიონმა დორფმანმა ყაიმით დაა-მთავრა პარტია პეშინასთან.

პეტროსიანი დამარცხდა ბელია-ვსკისთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიო-ნმა ჯერ პაიკი და ხარისხი დაკარ-გა, მერე უფიგუროდ დარჩა და 39-ე სვლაზე დანებდა. ესპიგმა 21 სვლაში მოუგო დამიანოვიჩს.

ყაიმზე შეთანხმდნენ ჩომი — ტუკმაკოვი და მიკენას — რეშევ-სკი.

**ვ. ფამილიანტი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## დარჩა ორი ტური

**დაუგავპილსი, 14 ივლისი** (დე-პეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კა-ვშირის 46-ე ჩემპიონატის მასობ-რივ შესარჩევ ტურნირში გადადე-ბული პარტიების დამთავრებისას ე. გუფელდი დაუზავდა ს. დოლმა-ტოვს (მოსკოვი) IX ტურიდან, გ. ზაიჩიკი კი ზ. რიტოვს (ტალინი) X ტურიდან გადადებულ პარტიაში.

**ჭადრაკი**

XI ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებ-მა ასე ითამაშეს: ზაიჩიკმა დაამარ-ცხა ოსტატი ა. იურტაევი (ფრუნ-ზე), ზ. სტურუამ წააგო ოსტატ მ. ზლოტნიკთან (მოსკოვი), დ. გედე-ვანიშვილმა — ოსტატ ე. ვლადი-მიროვთან (ალმა-ათა), გუფელდი დაუზავდა საერთაშორისო ოსტატ ი. კლოვანს (რიგა).

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. გუფელდს 6 ქულა აქვს, სტურუასა და ზაიჩიკს — 4,5-4,5 გედევანიშვილს — 4.

ლიდერობენ ოსტატები ჰ. კას-პაროვი (ბაქო), ი. ივანოვი (უზბეკე-თი) — 8-8 ქულა, დიდოსტატი ჯ. ცეშკოვსკი (ომსკი), საერთაშორ-ისო ოსტატი ა. მიხალჩიშინი (ლვო-ვი), ოსტატები ვ. კუპრეიჩიკი, ა. კაპენგუტი (ორივე — მინსკი) — 7,5-7,5.

**ე. გუფელდი,**
საერთაშორისო ოსტატი.

## პირველი ლიდერები

**ბაკურიანი, 14 ივლისი** (ტელე-ფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სა-სტუმრო „ბაკურიანში" დაიწყო საქართველოს გოგონათა და ჭაბუ-კთა პირველობები. ამ ტურნირების შედეგების მიხედვით დაკომპლე-ქტდება რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, რომელიც ტამპე-რენტში მოსწავლეთა სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

გოგონათა ტურნირში, რომელ-შიც 14 მონაწილეა, 2 ტურის შე-მდეგ დაწინაურდნენ: ე. ფახიროვა (ქუთაისი) — 2 ქულა, ხ. გურგენი-ძე (რუსთავი), ნ. ხიჩინავა (გალი), ნ. მუსერიძე (თბილისი) — 1,5-1,5, ც. ქასოშვილი (გორი) — 1 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში, რომელ-შიც 16 მონაწილეა, 2 ტურის შე-მდეგ ლიდერობენ: ა. ჩიკვაიძე, ბ. ბაღათუროვი, ბ. გოროზია (სამივე — თბილისი) — 2-2 ქულა, გ. ბ-ორგაძე (ქუთაისი) — 1,5.

**ს. მებრელიშვილი,**
პირველობების მთავარი მსაჯი.

## „სპორტლოტო"

**12 ივლისს** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა" და „სპორტ-ლოტო-2"-ის მორიგი, ოცდამერვე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სა-ხეობები:

„სპორტლოტო": 6 (კალათბუ-რთი), 10 (საბუერო სპორტი), [illegible] (საცხენოსნო სპორტი), 26 (მო-ტობურთი), 35 (სპიდვეი), 46 (ჰო-კეი). შეღავათიანი ბურთულა — [illegible] (ბიატლონი).

„სპორტლოტო-2": 4 (მთამსვ-ლელობა), 8 (კრივი), 14 (ფრენ-ბურთი), 15 (წყალბურთი), 48 (ჭა-დრაკი), 49 (შაში). შეღავათიანი ბურთულა — 10 (საბუერო სპორ-ტი).

**ხელბურთი**

**კიევში** ხელბურთელ ქალთა გუ-ნდების საერთაშორისო ტურნირზე — „კიევის თასზე" გაიმართა მო-რიგი შეხვედრები. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოუგო გფრ-ის გუნდს — 28:15, მეორე მატჩ-ში პოლონელებმა მოუგეს სსრ კა-ვშირის მეორე ნაკრებს 25:20. შე-მდეგ შედგა საერთაშორისო ამხა-ნაგური მატჩი მსოფლიოს ნაკრე-ბსა, რომლის შემადგენლობაში გა-მოდიოდნენ უნგრეთის, პოლონე-თის, რუმინეთის, იუგოსლავიის, დანიის, რუმინეთის, გფრ-ისა და შვეციის საუკეთესო ხელბურთე-ლები და ოლიმპიურ ჩემპიონს — საბჭოთა ნაკრებს შორის. გაიმარჯ-ვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა 23:18. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მოსკოველმა ვ. ბელოვმა, რომლის ანგარიშზეა შვიდი ბურ-თი. შემდეგ ტურნირის პროგრა-მით შედგა გფრ-ისა და პოლონე-თის ხელბურთელთა მატჩი. გაი-მარჯვეს პოლონელებმა 28:13. სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა ფრედ (18:18) ითამაშა სსრ კავშირის შე-იარაღებული ძალების ნაკრებ გუ-ნდთან.

**ფრენბურთი**

**ლენინგრადის** სპორტის სასახ-ლე „იუბილეინიში" დასკვნითი მე-ოთხე შეხვედრა გაიმართა იაპო-ნიის ქალ ფრენბურთელთა ნაკ-რებმა. მისი მოწინააღმდეგე ამჯე-რადაც სსრ კავშირის ნაკრები იყო. გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთე-ლებმა — 3:0 (15:12, 15:13, 15:0).

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07933